

საუნივერსიტეტო მინი გრანტების კონკურსი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მეცნიერული კვლევისა და შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების ფონდი აცხადებს საუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსს, რომლის მიზანია უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პოტენციალის წარმოჩენა/წახალისება და ამ პროცესში უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართულობის გაზრდა.

პროექტის განხორციელების აუცილებელი პირობაა კვლევის შედეგების ასახვა სამეცნიერო სტატიის ფორმატით და მაღალრეიტინგულ საზღვარგარეთულ ჟურნალში მისი გამოქვეყნება ან გამოქვეყნებაზე თანხმობის მიღწევა. კერძოდ მისაღებია ის ჟურნალები რომლებიც ინდექსირებული იქნება: Scimago Journal Ranking და Impact Factor რეიტინგებში ან/და Elsevier (Scopus და Science Direct) Web of Science, EBSCO, ERIH plus ბაზებში.

გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ ხარჯებს (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) უნდა მოიცავდეს საგრანტო თანხა. კონკრეტულ გამომცემლობასთან კონტაქტს, სტატიის ფორმატთან, ასევე, მისი გამოქვეყნების ხარჯებთან დაკავშირებული საკითხების გარკვევას უზრუნველყოფს თავად კონკურსანტი.

უპირატესობა მიენიჭება ისეთ პროექტებს, სადაც თვალსაჩინოდ იქნება გამოკვეთილი:

- პრობლემისადმი ინტერდისციპლინური მიდგომა,
- პროექტში ჩართულ პირთა გამოცდილება/კომპეტენცია,
- საკვლევი საკითხის აქტუალურობა,
- კვლევის მეთოდების ორიგინალურობა/ეფექტიანობა,
- კვლევის შედეგების თეორიული ან/და პრაქტიკული მნიშვნელობა,

პროექტში მონაწილეობის პირობები

- პროექტის ხელმძღვანელი აუცილებელია იყოს გრუნის აფილირებული თანამშრომელი.
- სამეცნიერო პროექტი უნდა აერთიანებდეს მინიმუმ 3 პროფესორს და მინიმუმ 3 სტუდენტს (ნებისმიერი საგანმანათლებლო საფეხურის).
- პროექტის წარსადგენად სავალდებულოა შესაბამისი საპროექტო განაცხადის შევსება (არაუმეტეს 600 სიტყვისა)
- უცხოენოვან სტატიასთან ერთად, სავალდებულოა დამატებით ქართულენოვანი სტატიის წარმოდგენაც, უნივერსიტეტის ჟურნალში დასაბეჭდად.

პროექტის კალენდარი

- კონკურსის გამოცხადება - 2023 წლის პირველი თებერვალი
- პროექტის წარდგენის საბოლოო ვადა - 2023 წლის პირველი მარტი
- გამარჯვებული პროექტების გამოვლენა - 2023 წლის 15 მარტი
- გამარჯვებული პროექტის დასრულება - 2023 წლის პირველი ოქტომბერი

კონკურსში მონაწილეობა, რომლის მოცულობა თოთოეული სკოლისთვის შეადგენს არაუმეტეს 5000 ლარს, შეუძლია კონკურსანტთა ჯგუფს შემდეგი მიმართულებით:

სამართლის სკოლა

1. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების იმპლემენტაციის სამართლებრივი და ინსტიტუციური უზრუნველყოფა
2. სამართლებრივი სისტემის ციფრული ტრანსფორმაცია
3. საერთაშორისო თანამშრომლობა სისხლის სამართლის სფეროში და ადამიანის უფლებები

საჯარო მმართველობის და პოლიტიკის სკოლა

1. სახელმწიფო მმართველობის ციფრული ტრანსფორმაცია
2. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების იმპლემენტაცია საქართველოში
3. საჯარო სამსახურის რეფორმა

ჰუმანიტარული და სოციალური მენიერებების სკოლა

1. თანამდროვე ქართული პრესა და ციფრული ტექნოლოგიები
2. მედია-საგანმანათლებლო და მედია-კომუნიკაციური ფენომენების შესწავლა
3. კლინიკური ფსიქიოლოგია

მედიცინის სკოლა

1. ტელემედიცინის დანერგვის ეფექტურობა და მომავალი პერსპექტივები სტუდენტთა მომზადების პროცესში
2. საექიმო სპეციალობის და ინფექციების კონტროლის გავლენა პრაქტიკოსი სტომატოლოგების Helicobacter Pylori-ით ინფიცირების მაჩვენებელზე
3. პირის ღრუს ჯანმრთელობის შესახებ ცოდნის შეფასება, ცალკეული რეგიონების მიხედვით

ბიზნესისა და მართვის სკოლა

1. ჩრდილოვანი ბანკინგისა და ფინტეკ ტექნოლოგიების როლი საქართველოს საფინანსო სექტორის განვითარებაში
2. ციფრული ტექნოლოგიები ტურიზმში
3. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები და ბიზნეს პროცესები საქართველოში

*ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია პროექტი ეხებოდეს ნებისმიერ სხვა თემასაც, თუმცა უნდა იკვეთებოდეს მისი განსაკუთრებულობა და საჭიროება შესაბამისი სკოლისათვის.

*თემის აქტუალობისა და კვლევის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელია მითითებულ თანხაზე მეტის მოთხოვნა.